საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა.)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 115

ხუთშაბათი, 9 დეკემბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მოწერა თვის გაზეთი ღირს 200 მან.

ფასი 10 მან.

№ 115 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 115

სოლიდარული პასუხისმგებლობა

როდესაც ამ რამდენიმე დღის წინათ საჯაშკაროზე გამოტანილ იქნა რკინის გზელთა მენშევიკური პანამა, მენშევიკებს ორში ერთი უნდა აერჩიათ: ან გაეწირათ მხილების მსხვერპლნი და სხვებთან ერთათ მათაც დაეგმოთ სამარცხვინო საქმეების გმირები, ან გაეზიარებიათ მათი მწუხარება და ქომაგათ და დამცველათ დასდგომოდენ მათ.

მართალი რომ ვთქვათ, ვერც ერთი ეს არჩევანი მათ წყლიდან მშრალათ ვერ გამოიყვანდა. რამდენიმე პირის გაწირვა-გამეტებით არ გათავდებოდა ისტორია, რადგან ეს გასაწირავი პირები მარტონი არ არიან და ისინი თავისკენ ჩაითრევდენ მათ სულიერ და ხორციელ ძმებს და მოყვასებს. ამიტომ ცოტა ყოყმანის შემდეგ მენშევიკებმა ამჯობინეს მეორე არჩევანი — გამოქომაგებოდენ ყველა ბრალდებულებს და თავისი ავტორიტეტით დაეფარათ მათი ცოდვები.

მთავარ ბრალდებულს — რკინის გზის სასურსათო კომიტეტს გამოესარჩლა რკინის გზის ცენტრალური კომიტეტი, ამას მოყვა რკინისგზელთა კონფერენცია და ახლა ამათ მიემატა რკინის გზის სარევიზიო კომისია. როგორც ხედავთ, აქ სოლიდარულათ ამოქმედდენ ყველა დიდი და პატარა ბობოლეები და ცდილობენ ერთათ გადაათრიონ ის ბრალდების ტვირთი, რომელიც მათ მძიმეთ აწევს კისრათ.

მაშასადამე, საქმე სერიოზულათ დგას და ჩვენ მოხარული ვართ, რომ მან აეთი მსვლელობა მიიღო. ამ პატარა, მარა ბევრის მაუწყებელ ფაქტზე საქართველოს მშრომელმა ხალხმა უნდა აშკარათ დაინახოს ძველი ზნეობრივ-გონებრივი ავლადიდება ჩვენი მენშევიკებისა, და არა მხოლოთ რამოდენიმე პირისა. რკინის გზელთა პანამა ეს მთელი მენშევიკური სისტემის უტყუარი სარკეა და მენშევიკებიც ტყვილა როდი ცდილობენ, რაც შეიძლება გალამაზებული გამოვიდენ დღეს ხალხის თვალში.

მაგრამ... არ გათეთრდება ყორანი, რაც გინდა ხეხო ქვიშითა. რკინის გზის კომიტეტების სურათი ისეთი ურყეველი საბუთებით არის შედგენილი, რომ მის სწორათ შეფასებას დიდი ლარი და ხაზი არ სჭირია, ყველასათვის ნათელია, რომ იქ მომქმედი პირნი ღირსი არიან სულ სხვა ადგილისა და მდგომარეობისა, ვიდრე ის, რომელიც მათ დღემდი უჭირავთ. საბუთების უარყოფა, პატივსადები მიზეზების მოყვანა, და სხვა გვარი თავის მართლება საქმეს ვერ უშველის. ბრალდებულნი უმწეო მდგომარეობაში არიან, სოლიდარული პასუხის მგებლობა ყველასი ერთათ და ერთისა ვყველასათვის მათ მდგომარეობას ვერ ამსუბუქებს, მათ აუცილებლათ მოელით მიუდგომელი მსჯავრი, რომლის შინაარსი მათ წინდაწინვე იციან.

ეს ასეა. მაგრამ ეს ხომ სასამართლო არ არის, სადაც ერთი მხრით იდგეს ბრალდებული და მეორე მხრით ბრალმდებელი, აქ ხომ სავალდებულო არ არის რომ დავიცვათ სასამართლოს ყველა წესები, რომელიც მოითხოვს, რომ რაღა პროცესი დაიწყო, ის უეჭველათ გათავდეს ან გამართლებით, ან გამტყუნებით. დიახ, ეს არ არის სასამართლო და სწორეთ ამით სარგებლობს სოლიდარული პასუხის მგებლობით მომქმედი რკინის გზის კომიტეტი და მათი მფარველი პრესა და სხვა ძალები.

მათთვის თავის მართლება უიმედო საქმეა, და ისინიც თავს ანებებენ მას. ამავე დროს მოქმედება გადააქვთ სხვა ასპარეზზე, და მით ცდილობენ მათი საწინააღმდეგო ბრალდების მიფუჩეჩებას. ჯერ დაიწყეს მით, რომ მათი საგმირო საქმეების გამომააშკარავებელ ამხ. ბარონს ლაფში ამოსვრა მოუნდომეს და მათი ბოროტმოქმედების მონაწილეობა დააბრალეს. ვერ გასჭრა ამან, რადგან მართალიც რომ ყოფილიყო მათი ამ მხრით წამოყენებული მტკიცება, მაინც გადუჭრელი რჩებოდა მათი გმირულ საქმეების შეფასება.

შემდეგ მათ იერიში მოიტანეს მთელ ჩვენს პარტიაზე და უხმეს თავის ლაშქარს, რომ არამც და არამც არ დაეჯერებინათ ჩვენი. მაგრამ ფაქტები თვით ლაპარაკობდენ და მათი მიჩქმალვა არც ამ გზით შეიძლებოდა. ბოლოს, გადასწყვიტეს თვით გადასულიყვნენ იერიშზე და თვითონ ჩვენ დავესვით საბრალმდებლო სკამზე. ამ მიზნით მათ დღეს ატეხილი აქვთ არა ერთხელ ნაცადი გამაყრუებელი განგაში ჩვენი მოღალატეობისა, გამცემლობისა და სხ. შესახებ. ამას ემატება მასსიური დაჭერა ჩვენი ამხანაგებისა, პასუხისმგებელი მუშაკებისა, რამაც საბოლოოთ უნდა დაიხსნას ისინი მათთვის უსიამოვნო მამხილებელთაგან.

ჩვენსა და მათ შორის ბრძოლაა ატეხილი. არა ერთი დამარცხება ვაგემებინეთ ჩვენ მათ იდეიურ ნიადაგზე. კიდევ ამაზე უარესია დღეს მათთვის მოსალოდნელი. რა გასაკვირალია, თუ ასეთ გასაჭირის დროს მათ გამოიყენონ არა მარტო „იდეური“ საბუთები, არამედ უფრო მეტათ მატერიალური თვისების ძალები და იარაღები: ციხე და გადასახლება.

ერთი უსიამოვნო ამბავი უნდა ვაუწყოთ ჩვენს მოწინააღმდეგეებს, რომლებიც ბრძოლის უფრო დამარწმუნებელი იარაღებით არიან დღეს აღჭურვილნი. ჩვენ მხოლოდ სუბიექტიური გამომხატველი ვართ იმ ობიექტიური პროცესის, რომელიც მათ არსებობას ძირს უთხრის. ამ პროცესს ვერ დათრგუნავს ჩვენი დევნა-შევიწროება, მას ვერ შეაფერხებს მოწინააღმდეგეთა სოლიდარული ამოქმედება. საქართველოს მშრომელი ხალხი უკვე მოცულია ამ პროცესით და ის უეჭველათ გაიკვლევს თავის სავალ გზას.

მტყუანს კარეგამდე!

(პასუხი რკ. გზ. სასურსათო კომიტეტს).

ქართულ-რუსულ „რკინისგზელი“-„ჟელეზნო-დაროჟნიკ“-ში, და „ერთობა-ბორბაში“ გამოქვეყნდა სასურსათო კომიტეტის პასუხი ჩემს წერილზე „დაუდევრობა თუ ბოროტმოქმედება“... პასუხი გრძელზე გრძელი და ყოვლად უბადრუკი, ვინაიდან არც ერთი ბრალდებათაგანი უარყოფილი არ არის, მხოლოთ მუშების თვალის ასახვევათ და გასაბიაბრუებლათ ბელეტრისტული ახსნა-განმარტებით ლამობენ ფონს გასვლას... რა გინდათ, რომ შიგ არ იყვეს? აკლია მხოლოთ ბრძნული განმარტება იმის, თუ რა გავლენას მოახდენდა ჩვენს სასურსათო კრიზისზე ამერიკის პრეზიდენტის არჩევა, თუმცა რაც აქ აკლია, რკინისგზელთა ზედა ფენების ეგრეთ წოდებული „ვერხვების“ „მოშაქრულ“ კონფერენციაზე დაუყვავებდათ მათი ოქროპირები... მართალი მოგახსენოთ არავითარი ხალისი არა მაქვს პასუხი გავსცე ასეთ იწილო-ბიწილოს, მით უმეტეს, რომ ყოველი დაკვირვებული მუშისათვის ამ პასუხიდან აშკარაა მათივე „საქმენი საგმირონი“. და თუ მაინც მიხდება წერა მხოლოთ იმიტომ, რომ დანაპირები შევასრულო.

გავსინჯოთ რა პასუხს იძლევა სასურსათო კომიტეტი ფქვილის გაყიდვაზე: „კომიტეტმა გაყიდა ... მაშინ... როცა გამოაშკარავდა, რომ ახლო მომავალში კანადის ფქვილის მოტანა საქართველოში შეწყდებოდა (აი კომერსანტები!) ამ ფქვილის გაყიდვა უნდა გაისინჯოს, როგორც მოხერხებული ანგარიში (კიდევაც, კიდევაც, მხოლოთ არა დამშეული მუშამოსამსახურეებისათვის, არამედ გაუმაძღარ სპეკულიანტ-ბაკულებისათვის!), ვინაიდან კომიტეტი ფიქრობდა ადგილობრივ ხორბლის შეძენას, რომელიც ბაზარზედ იყიდებოდა მაშინ 500 მანეთში და სიმინდისას, რომელის ფასი იყო 250 მანეთი. ამ ნაირად ყიდდა რა კანადის ფქვილს, აღებული ფულით კომიტეტს ქონდა შეძლება ეყიდა ადგილობრივ ბაზარზედ ოთხჯერ მეტი რაოდენობა ადგილობრივ ხორბლის, ან რვაჯელ მეტი სიმინდი. მართალია დაბოლოს ეს ანგარიში არ განხორციელდა... განა არ გაგონდებათ დედა ენიდან ქალაქში მიმავალი გლეხი, რომელიც პოულობს ერთ ქილა კარაქს, გაუყრის ჯოხს და ბიაქვს გასასყიდლათ, თან ოცნებობს თუ როგორ გაყიდის კარაქს, იმ ფულებით იყიდის გოჭს, ის გაიზრდება, გახდება ღორი, რომელსაც კიდევ გაყიდის და ასე ბოლომდი სანამ არ შეიძენს ხარ—ურემს და აი ის მიუძღვის უკვე ურემს ქალაქში, ხარებს მოუქნევს ჯოხს და დაფშვნის ქილას... მრჩება ხელცარიელი მეოცნებე გლეხი... ასევე მოუვიდა კომიტეტის მესვეურთ, მხოლოთ არა იმიტომ, რომ ისინი ოცნების ხალხი იყვეს...

კონსერვების შესახებ ბევრი ლაპარაკი საჭირო არაა. ფაქტია, რომ გაზაფხულზე (როცა ასეთ დიდ პარტიას არც ერთი ვაჭარი არ შეიძენს) ბაზარშიაც ისეთივე ფასები იყო და უსათუოთ უნდა შეენახათ სანამ ფასები აიწევდა (ასეთი მოვლენები ხშირია იქ ვინაიდან საქონლის გაყიდვის დროს თუ „მოხერხებული ანგარიშით“ ხელმძღვანელობენ, სამაგიეროთ ყიდვის დროს მეტად უანგარიშობას იჩენენ *). ფაქტია რომ კონსერვები უკვე ფუჭდებოდა მიღების დროსვე და ამიტომ იყო, რომ ბევრი დაუბრუნეს უკან გამყიდველს... და თუ 4—5 თვის შემდეგ, რაც გაუფუჭებელი გადარჩა იყიდება, ეს მხოლოთ იმით აიხსნება, რომ სანოვაგეზე ფასები ერთი სამათ და ერთი ოთხათ ავარდა...

ახირებული თავის მართლებაა შაქრის გაყიდვის შესახებაც. „მორიგი ზღაპარია შაქრის შესახებაცო“ — რიხით სწერს კომიტეტი, თითქო არ გაეყიდოთ! ჩემს წერილში მე მოვიყვანე ფაქტები, რომ გაყიდეს 602 ფუთი. ბოდიშს ვიხდი კომიტეტის წინაშე, რომ გამომრჩა 127 ფუთი და 10 გირ- შაქარი, რომელიც მიყიდეს მ. ჩ. ჩადუნაისკის 4210 მან. ფუთი. სულ მაშასადამე გაყიდეს 730 ფუთი და თუ ეს ნახევარი ვაგონია მეტად დიდი ვაგონები ქონია სასურსათო კომიტეტს. ეხლა ვიკითხოთ ქონდათ შაქრის გაყიდვის უფლება? „შაქარი გაყიდული იყო მთავრობას დადგენილებით“ ავტორიტეტულათ აცხადებს კომიტეტი, არ ასახელებს კი როდის მიეცა ასეთი ნებართვა ან რა ფორმით... თუ ეს მართალი არის, ამ შემთხვევაში რით ავხსნათ, რომ როცა შაქარი გაყიდული იყო ცენტრალურ გამგეობას დადგენილება გამოაქვს მიეცეს სასურსათო კომიტეტს წინადადება შაქარი აღარ გაიყიდოსო. **Запутались Господа хорошие!** ან და შეიძლება მთავრობის ნებართვა იყო გაეყიდათ შაქარი იმ დროს, როცა მან პურის ზარალის დასაფარავათ მოგცათ ე. ი. 1918 წელში? და განა შეიძლება ორი წლის წინეთ მოცემული ნებართვით გაამართლოთ შაქრის ახლა გაყიდვა და ისიც იმ დროს, როცა ფასი ყოველ დღე მატულობდა? ჯერ ერთი, რამდენიმე დღეში თქვენ გაყიდეთ 400 ფ.×3940 მ. (გამოკლებით 1½% საკომისიოსი), 102 ფ.× 4000 მ., 101×4200 და 128×4210... სასირცხო ტყუილია თითქო შეჯიბრებით გაგეყიდოთ შაქარი, ის კი ფაქტია რომ პირველი მაღაზიის გამგეს და მის თანაშემწეს ნათქვამი ქონდათ, აღნიშნულ ფასებზე რასაც მეტს აიღებთ, თქვენი იყოსო და ასეც მოხდა.

ეხლა კოსტიუმებზე. არ შეფერის რკინის გზის სასურსათო კომიტეტს ტყვილი ცნობებით პრესსაში გამოსვლა.

არ არის მართალი, თითქო „კოსტიუმები იყიდებოდა გაცილებით იაფათ ბაზრის ფასებთან შედარებით და ძალიან ჩქარაც გაიყიდა“. მე ვამტკიცებ, რომ თებერვლიდან ივლისამდე 4 მილიონის საღირალი კოსტიუმებიდან არ გაყიდულა 10—12 ხელის მეტი. ივლისის დამლევს კი გაიყიდა ვილაც ვაშაკიძეზე (და არა „დაეთმო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს“, როგორც თქვენ სწერთ) — 2,620,900 მან. კოსტიუმები, რისთვისაც მოსაშვალეს მიეცა 279,100 მანეთი (ორდერი ა. წ. 29/VII № 1774) თქვენ კი იმ აზრით სწერთ, თითქო არავითარი საკომისიო ხარჯები არ გაგეღოთ. არც ისაა მართალი, როცა სწერთ: „რაც შეეხება 20,000 მანეთს, რომელიც ბოკერიამ მიიღო, ეს ფულები მიცემული იყო სრულიად კანონიერათ თვე-ნახევრის განმავლობაში ბათომში ყოფნის გამო დღიურების სახით“... მე კი ვწერდი: „აი ამ მომგებიან „ოპერაციას“ მოუნდა ბ-ნი ბოკერია მთელი თვე და დღიურების სახით მიიღო 20,000 მ.“.

არავითარ უკანონობაზე არ მქონია ლაპარაკი და რაკი კანონიერებაზე დაიწყეთ ლაპარაკი, მოგახსენებო, რომ სრულიათ უკანონოთ მიიღო და აი საბუთი.

ორდერ № 1650 თქვენ ნახავთ მიკრულს, თუ კეთილ ინებებთ, გასინჯოთ ბ. ბოკერიას შემდეგ განცხადებას: „ლ. ნ. პ. გთხოვთ მომცეთ დღიურები 27 დღის ბათუმში ყოფნის დროს 650 მ. დღეში“ (საიდან შეთხზეთ, რომ ბოკერია ერთ-ნახევარი თვე იყო ბათუმში?), რომელზედაც არის რეზოლიუცია:

„ვ. ე. ბ. მიეცით 16/VII თხილავა“ ვინაიდან იმ დროს გაცილებით ნაკლები ნორმა იყო დღიურების უფროსი ბუხალტერი უკან უბრუნებს თხილავას განცხადებას და უთვლის, რომ ამდენი მას არ ერგება. მაშინ თხილავა აწერს ახალ რეზოლიუციას „მიეცეს ახალი ნორმით (уплатить по новому положенію) 16/VII ვ. გ. თხილავა“. ეს ხომ ცვრილმანია, მარა მეტად დამახასიათებელი კომიტეტში არსებულ სისტემისა..

ეხლა ნებართვებით ვაჭრობაზე, რასაც ჩემს წერილში ყოვლად დაუშვებელ ბოროტებათ ვაღიარებდი „სახელწიფოებრივ თვალთახედვის ისრით“. და მართლაც რესპუბლიკის მთავრობა უკრძალავს კერძო პირებს თივისა და ბზის გაზიდვას საზღვარგარეთ, ბ. თხილავა კი ამ ნებართვებს იმავე კერძო ჩარჩებზე ყიდის, ბზია ნებართვას ჭელიძეზე და თივისას ვილაც მექვაბიშვილზე (პირობა ა. წ. 26 იანვრიდან) და სასურსათო კომიტეტი კი ამ „კომბინაციას“ „კომერციულ ფაქტს“ უწოდებს...

რაც შეეხება განაწამებ ძროხებს და ჩამწარებულ კარაქსა და ყველს, ამაზე აქ აღარ შეეჩერდები, ვინაიდან ვრცლათ უპასუხე ცენტრალურ გამგეობას, ვიტყვი მხოლოთ რომ სასურსათო კომიტეტის ცნობები შეთხზულია არა სასურსათო კომიტეტის ბუხჰალტერიაში, როგორც ეს კიკაბიძეების დამცველ ბ. თეკლათელებს ჰგონიათ, არამედ რწმუნებულთა კაბინეტებში ცენტრალური გამგეობის თანადასწრებით და აგენტი ლადო აბაშიძის დახმარებით... მინდა ერთი კითხვა მივსცე მხოლოდ საერთო კომიტეტის და ცენტრალური გამგეობის მესვეურთ: როცა „ერთმა ჯგუფმა კერძოთ მოაწყო ამ საქონლის შესყიდვა და ეს საქმე მიანდვეს კომიტეტის აგენტ აბაშიძეს“, მოლაპარაკებაში ღებულობ და მონაწილეობას ის ბობოლებიც, რომელთაც თითო ფუთობით ყველი და ნახევარ ფუთობით კარაქი მიართვეს სახლში? თუ მათაც არ ცოდნიათ, როგორც ი. გიორგაძეს არ ცოდნია სიზმარ ცხადი არც კერძოთ შეყიდვის, და არც იმისი, თუ მუშებს ორმაგ ფასს ახდევინებდენ და ძას კი 15 გ. კარაქი და 10 გ. ყველი ნახევარ ფასათ გაუგზავნეს (ფასი კი ვალათ დასწერეს), რისთვისაც ჩემი წერილის გამოქვეყნების შემდეგ სასტიკი პროტესტები და უკმაყოფილება გამოუცხადა ბ. გიორგაძემ სასურსათო კომიტეტს ასეთი „დათვური სამსახურისათვის“.

გადავდივარ „ლეგენდარულ“ 27 რაიონის მაღაზიაზე, არა ერთხელ მიკეტილზე, მარა მაინც არალეგალურათ არსებულზე... წინდაწინვე ვაცხადებ, რომ სასურსათო კომიტეტის მესვეურთათვის უმჯობესი იქნებოდა ეს მისი მტკივანი ალაგი არ ეხსენებია (როგორც არ უხსენებიათ მაგალითად მანუფაქტურის ფასი თავისიანებისთვის 2305 მ. არშინი, გასაყიდათ კი 2305×2=4610 მ.). ვინაიდან ოცდაშვიდი რაიონის დუქანი ეს ის უხილავი ხვრელია, რომელსაც ვერავინ შეამჩნევს თუ არა „ორი წლის უნებლიე“ თვალ-ყურის მდევნელი... მე ვწერდი: მომარაგების სამინისტროდან მიღებული დიდძალი ინგლისური მანუფაქტურა პირველათ დააწყვეს რწმუნებულ თხილავას კაბინეტში თქვა. სასურსათო კომიტეტს ეს „ცრუ მტკიცებათ“ მიაჩნია და ირწმუნება, რომ „ყველა საქონელი, რომელსაც იძენს კომიტეტი, მიდის საწყობში და იქიდან ნაწილდება კოოპერატივებს შორის“. უნდა გრცხვენოდეთ ბატონებო ტყუილის! სინამდვილე—კი ეს იყო, რომ აღნიშნული მანუფაქტურით დატვირთული საბარგო ავტომობილები აგენტი კობახიძის თანხლებით მოადგა ელისაბედის ქუჩაზე სახლს № 200 ბ მანუფაქტურა აიტანეს მესამე სართულზე ბ დააწყვეს მთავარ რწმუნებულის კაბინეთში რომელიც იმ ხანებში (მთავარ რწმუნებულის მომარაგების სამინისტროში ყოფნის გამო) ეჭირა ბ. თხილავას. ამას დაამოწმებს მთელი შტატი სასურსათო და სამოსწავლო განყოფილებისა. მე იმასაც ვსწერდი, რომ 27 რაიონს ისე მიაწვეს საქონელი, რომ შიგ არც შეუტანიათთქვა და ვასახელებდი ფაქტურა № 100063, თქვენ კი აღშფოთებული კითხულობთ „რა შუაშია აქ თხილავა და მისი კაბინეთიო“... იმ შვაშია ვაჟბატონებო, რომ 67834 მან. და 38 კაპ. (ნამდვილათ კი 200.000 მ. ღირებული) მან გაიტანა და შემდეგ თვით მიისაკუთრა თუ გაუნაწილა გამგეობის წევრებს თუ სხვა თხილავეებს, რომლებიც სასურსათო კომიტეტში ნახევარ დუქინზე მეტია ეს მუშებისათვის სულ ერთია... მარა რაც ყველაზე უფრო საინტერესოა — ეს ისა, რომ „ვინაიდან იყო შითქმა-მოთქმა (უსაბუ-

---

*) როგორც იყო მაგალითად დიდი პარტია ძაფების და სარეცხი საპნის შეძენის დროს თითქმის ბაზრის ფასებზე და აყროლებული თევზის მიღების დროს, რომელიც ხან მტკვარზე გაქონდათ გასარეცხათ და ხან აგენტ ბუმბიაშვილს ანდობდენ გაყიდვას მესამედ თუ მეოთხედ ფასებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თო არა?) ამ მაღაზიის ირგვლივ, ის უკვე დაკეტილია კარგა ხანია". ჩემი ცნობით კი ის დაკეტეთ სექტემბრის შუა რიცხვებში, მხოლოთ მას შემდეგ დღევანდლამდე განაგრძობთ საწყობებიდან საქონლის გამოწერას 27 რაიონის მაღაზიაზე... რომ არ შეგეძლოთ აქაც გაიმეოროთ, რომ „თვითონ თავისი ბოროტი ენით შექმნა ბ. ბარონმა ესო" მე იძულებული ვარ აქვე მოვიყვანო დოკუმენტალური ცნობები (დაწყებული 17 სექტემბრიდან და გათავებული 19 ნოემბრით) იმ იმედით, რომ ამ დოკუმენტების ვერც გაქრობას და ვერც გადასწორებას ვერავინ შესძლებს...

აი ფაკტები:

17 სექტემბერი. ორდერი № 2379—ზეწარი 2 ცალი, ძაფი 12 კოჭი, ფანელი 10 არშინი და 13 ვერშოკი.

18 სექტემბერი. ორდერი № 2386—ზეწრები 100 ცალი, ბალიშის პირი 50 ცალი, საბნები 30 ცალი, ძაფი 100 კოჭი.

20 სექტემბერი. ორდერი № 2406—შაქარი-რაფინადი 5 ნახევარი ფუთი, სარეცხის საპონი 2 ფუთი, ხელის საპონი 5 დუჟინი.

22 სექტემბერი. ორდერი № 2418—საზამთრო საბნები 12 ცალი, ბალიშის პირი 36 ცალი.

23 სექტემბერი. ორდერი № 2431—ჟილეტი 3 ცალი.

24 სექტემბერი. ორდერი № 2442—ზეწარი 50 ცალი, ბალიშის პირი 50 ცალი, ძაფი 100 კოჭი, საცვლები თბილი 50 წყვილი.

24 სექტემბერი. ორდერი № 2453—საბნები 2 წყვილი, შალის „ნასკები" 4 დუჟინი, სალადათის ფეხსაცმელები 2 წყვილი.

26 სექტემბ. ორდერი № 2500—ზეწრები 10 ცალი, საბნები 4 ცალი.

4 ოქტ. ორდერი № 2565—თბილი საცვლები 12 წყვილი, ფანელი 20 არშინი, ხელის საპონი 4 დუჟინი, საპონი მოსაპარსი 10 კოლოფი, ზეწრები 4 ცალი.

25 ოქტ. ორდერი № 2828—საპონი ამერ. 10 ნაჭერი. ხელის 6 დუჟ.

29 ოქტ. ორდერი № 2876—ფანელი თეთრი 38 არშინი.

12 ნოემბ. ორდერი № 9—საპონი მოსაპარსი 6 კოლოფი.

17 ნოემბ. ორდერი № 16—შაქარი რაფინადი 1 ტომარი.

19 ნოემბ. ორდ. № 55—კრაოტი მატრაცით 2 ცალი, მატრაცი 3 ცალი.

ცენტრალური გამგეობისათვის განსაკუთრებით:

17 ნოემბ. ორდერი № 33—საპონი ამერიკ. 240 ც. 25 ბ.

17 ნოემბ. ორდერი № 34—შაქარი რაფინადი 1 ფ. 400 მან.

ცალკე ნებართვით თბილი საცვლები 32 წყვ.×1200 მან.

სასურსათო კომიტეტის მტკიცებით (და ჩემი ცნობებითაც) ეს მაღაზია „დაკეტილია კარგა ხანია და მისი ბინა მიცემული აქვს სასურსათო კომიტეტის მცველებს." ეს ჭეშმარიტებაა, რაშიდაც მეც გეთანხმებით, მხოლოთ ვერ დაგიჯერებთ თითქო „ყოველგვარი ლაპარაკი ამის შესახებ ისე შორსაა ჭეშმარიტებისაგან, როგორც ცრუ მტკიცება იმისა, თითქო რწმუნებულ თხილავას კაბინეტი წარმოადგენდეს რაღაც დუქანს." ზევით ლაპარაკი, რაც შეეხება ამ ნამდვილად „ხელის დამცლელ" მაღაზიას, აი ეს გძელი ამონაწერიც შეიძლება შორსაა ჭეშმარიტებისაგან?

უბრალო მკითხველისათვის ძნელი გასარკვევია თუ რაშია საქმე, მაღაზია დაკეტილია და საქონელს კი იწერენ მის სახელზე. საქმე შემდეგშია: რომ შესაძლებელი იქნეს კვალის დაბნევა—საქონელი ივანემ წაიღო თუ პეტრემ—ხდება შემდეგ ნაირად: რწმუნებული სწერს გინკარგულებას ცენტრალურ ბუხჰალტერიას—„გამოუწერეთ საწყობიდან 27 რაიონის მაღაზიას—ეს, ის—ის. ადგენენ ფაქტურას, გამოწერილ საქონელს დააწერენ მაღაზიას და კასაში შეტანილ ფულს ჩამოსწერენ იმავე მაღაზიის ანგარიშიდან... არ არის მართალი თითქო მაგ მაღაზიიდან სარგებლობდენ (გარდა პურისა სხვა რამეთი) მოსამსახურენი სტატისტიკურ კონდუქტორების, სამოსწავლო და მილიციის განყოფილებების და სხვა... სარგებლობენ მხოლოთ ისინი, ვისთვისაც არავითარი ნორმა არ არსებობს... ამხანაგ მუშებისათვის მიმინდვია იმის გამორკვევა თუ ყველა ჩემ მიერ აღნუსხულ ფაქტებს რა დაერქმის: **დაუდევრობა თუ ბოროტმოქმედება?**

ბარონი.

(დასასრული ხვალ)

ბიულეტენი პრესბიუროსი

რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.

(რადიოთი მოსკოვიდან, ნაუენიდან, ლიონიდან და სხვ. და პირდაპირი მავთულით კავკავიდან და ბაქოდან).

საზღვარ-გარეთ

ქემალის ახალი მზადება.

სტამბოლი, 28 ნოემ. გაზ. „სტამბული" 13 ნოემბერიდან სწერს: იზმიდიდან იუწყებიან, რომ გეიზეში ქემალი ახალ ძალებს აწყობსო. ამ მზადების მიზანი იზმიდზე შეტევაო.

ანატოლიასთან ურთიერთობა.

სტამბოლი, 27 ნოემ. გაზ. „ალემდარი" იუწყება, რომ ანატოლიაში მეორე მთავრობის აგენტი გაიგზავნა. ოსმალეთის გაზეთები, რომლებსაც სარწმუნო წყაროები აქვთ, უარყოფენ ამ ცნობებს. მთავრობის წრეებში ყოველ დღე მოელიან შიკრიკ-აფიცრის მობრუნებას, რომელიც ერთი თვის წინათ წავიდა ანგორაში.

მუსტაფა ქემალის ახალი გეგმა.

სტამბოლი, 25 ნოემ. გაზ. „ჯაგატამარტი" სწერს, რომ ანგორაში ახალი მოქმედების გეგმას იმუშავებენო.

ქემალმა დაასრულა სომხების წინააღმდეგ თავისი ოპერაციები, გასცა ბრძანება, რომ ქიაზიმ კარა ბექირი 15,000 კაცით დარჩეს სომხეთის ფრონტზე, დანარჩენ ძალებს სმირნის ფრონტზე გზავნის.

ოსმალეთის ახალი არმია.

სტამბოლი, 29 ნოემბერი. „სტამბულის ცნობით სამხედრო სამინისტროში ფუად ფაშის თავმჯდომარეობით მოეწყო კომისია, რომელმაც უნდა შეადგინოს აფიცერთა ახალი კადრი.

ახალი არმიისთვის იმ აფიცრებს მიიღნბენ, რომლებიც დღემდის პოლიტიკას არ ეწეოდენ.

საბერძნეთის ჯარების ველურობა.

ტრაპიზონი, 27 ნოემბერი. ინგლისის დეპეშათა სააგენტო. ბერძენთა ჯარები უმაგალითო სიმხეცეს იჩენენ. აი მათი საგმირო საქმეებიც: ბერძნები სანამ დაიკავებდენ ინეგეიელეს ენი-შეხირს, უშენდენ სოფლებს; დაიხოცა ბევრი ბავშვი და ქალი. გაჩხრეკის დროს არავითარ ნივთს არ ტოვებდენ. ხოცვდენ დაჭრილებსაც—კი. იმ განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერს ენი-შეხირის 115 მცხოვრები, ასეა აწერილი ბერძენთა მხეცობა:

ბრძნებმა ოკუპაციის პირველ დღეს სრულიად წაართვეს ჯოგი შემდეგ სოფლებს:

იზალ-გისარს, აგ-დერეს, ქირაზმს, რეშადს, კარპკაზულს, სულეიმანისს, ნიჯურბიგს და შემდეგ ეგ სოფლები ცეცხლს მისცეს. მეორე დღეს ყველა მაძაკაცები შეიპყრეს. მეოთხე დღეს ყველა გაძარცული ხალხი ბრუსაში გაგზავნეს. წარყვნეს მეჩეთები და მუსულმანთა ყოველივე წმინდათა-წმინდა. მეექვსე დღეს გარყვნილობამ იმ წერტილამდის მიაღწია, რომ ძალადობას ხმარობდენ ქალწულებზე. მეშვიდე დღეს გამოცხადდა რომ ქალაქი ცეცხლს უნდა მიეცესო. ქალაქის მკვიდრნი იძულებული შეიქნენ ქალაქ გარეთ გასულიყვენ. გაძარცვეს ყველა საქველმოქმედო საზოგადოებები, რის გამო საავადმყოფოებში და სკოლებში ბავშვები სრულიად უმწეოთ დარჩენ.

ხალხს არ უნდა მეტი ბრძოლა.

სტამბოლი, 28 ნოემბ. გაზეთი „პრუდოსი" სწერს: „არჩევნების მთავარი მიზეზი იყო ის, რომ ხალხს არ უნდოდა კიდევ ყოფილიყო მათი შვილები იარაღ ქვეშ.

ვენიზელოსის დამარცხება ათინაში იმით აიხსნება, რომ ალბანელებმა არ მისცეს ხმა მას.

მაკედონიაში ბულგარელებმა და ოსმალებმა ვენიზელოსის წინააღმდეგ მისცეს ხმა.

ოსმალეთი და საქართველო.

სტამბოლი, 30 ნოემბ. გაზეთი „ისტიკბალი" სწერს: „ჩვენი ჯარების ბრწყინვალე გამარჯვებამ დიდ საგონებელში ჩააგდო საქართველოს მთავრობა. ქართველი ხალხის მომავალი დამოკიდებულია საქართველოს რესპუბლიკის მართველების შორსმჭვრეტელ პოლიტიკაზე. მთავრობამ ახლა გაიარა გაკვეთილი. საქართველოს მთავრობის გეზს ამ მძიმე მომენტში შეუძლია დადებითი გავლენა იქონიოს საქმის ვითარებაზე.

საქართველო თითქმის გადაიქცა ორ მოწინააღმდეგეს შორის საბრძოლველ ასპარეზად. ერთის მხრივ სომხეთის პოლიტიკის მომხრეები ცდილობდენ ჩაეთრიათ საქართველო ომში სომხების საკარგებლოთ. ისინი ცდილობდენ დაესახათ ოსმალეთის მოძრაობა, როგორც იმპერიალისტური და მთელი კავკასიის დაპყრობის მოსურნე, ამან შეიტანა არევა ქართველ ხალხში. სომხები იმის მტკიცებასაც კი ცდილობდენ, რომ სომხეთის დაკავების შემდეგ ჯერი მიდგება საქართველოზე, ერთი სიტყვით ყველაფერს შვებოდენ, ოღონდ საქართველო ჩაეთრიათ ამ ავანტიურაში.

საქართველოს მთავრობამ პირველად დაუჯერა ამ ხმებს და კიდეც ემზადებოდა ომისათვის. ბოლოს კი მან მონახა სწორი გზა. საქართველოსთან კეთილმეზობლური განწყობილება დიდათ სასარგებლოა, როგორც ოსმალეთისათვის, ისე საქართველოსათვისაც.

შემდეგ რა?

სტამბოლი, 29 ნოემ. „ვეჩერნაია პეჩატი" სწერს: „საით გაგზავნიან „რუსეთის არმიას", ჯერ ამის თქმა არ შეიძლება.

ის კი ცხადია, რომ ის ბრძოლას ვერ შესწყვეტს და გააგრძელებს თავის დიად საქმეს ბოლშევიკებთან ბრძოლას. ამ ბრძოლაში მას დაეხმარებიან ყველა რუსი პატრიოტები, მოკავშირეები და ყველა ჩვენი გულწრფელი მეგობრები.

ჩვენ ამ ჯარის დახმარებისათვის დიდ მადლობას ვუძღვნით საფრანგეთის ღირსეულ შვილებს, რომლებმაც ამ უბედურ დღეს დიდი დახმარება გაუწიეს გადმოხვეწილ რუსეთის ჯარს".

„ვენიზელოსი დაბრუნდება"

გაზეთი „ფრეისა" ათავსებს მაქებარ სტატიას ვენიზელოსზე:

„არავითარ მხურვალე თანაგრძნობას, არავითარ გულწრფელ სიტყვებს არ შეუძლია ვენიზელოსის დაწყნარება და დამშვიდება. ის ყველაფერს თავის ძალებით აკეთებს. ეს პრომეთეოსია. მას შეუძლია უთხრას თავის მეგობრებს: „დაანებეთ თავი მათ, მათ არ იციან რას აკეთებენ". ის თვით ამშვიდებს თავის-თავს. ის მალე მოიკრებს თავის ძველ ძალას. ის თავის წვრიმალ მოწინააღმდეგებზე ბევრად მაღლა დგას და კიდეც ბევრად ძლიერია მათზე. ის ისევ მალე დაბრუნდება და განაგრძობს თავის ძველ დიად ეროვნულ საქმეს".

ხელშეკრულობის სისრულეში მოყვანა

სტამბოლი, 27 ნოემ. სევრის ხელშეკრულობის სისრულეში მოყვანამ ძალიან საგონებელში ჩააგდო თევფიქ-ფაშის კაბინეტი. მინისტრთა უკანასკნელ ორ სხდომაზე დიდი კამათი გამოიწვია ამ საკითხმა. დაადგინეს აცნობონ მოკავშირეებს, რომ ხელშეკრულობის რატიფიკაცია დიდის აღფრთოვანებით მოხდება და ეცდებიან ანტანტასთან შეთანხმებასაც და სევრის ხელშეკრულობის მათთან ერთად ცხოვრებაში გატარებას.

ფ რ ო ნ ტ ზ ე.

ტრაპეზუნდი, 28 ნოემბ. ანატოლიის ტელ. სააგენტოს ოფიციალური ცნობა. 3 ნოემბრიდან.

დასავლეთის ფრონტი.

მოწინააღმდეგე ვაიძულეთ დაეხია ბრუსისაკენ. მტერი უკან დახევის დროს ანადგურებდა სოფლებს. მან გაანადგურა აგრეთვე ქალაქი ენი—შეხირი. მტერი მხეცურათ ეპყრობოდა მცხოვრებლებს. კენრი გისარიდან გასვლის წინ მტერმა თავი მოუყარა ქალებს, ბავშვებს და დასწვა ისინი. ვინც ცეცხლს გადურჩა, ისინი თოფით დახოცეს. საბერძნეთის არმიის ჯარის კაცები სძარცვავდენ მცხოვრებლებს და აუპატიურებდენ ახალგაზრდა ქალებს. ქალაქ ინეგელში მტერმა გაძარცვა ყველა სახლები და შემდეგ დაიხია უკან.

ადანის ფრონტი.

ანატოლიის რაიონში მოხდა შეტაკება, რაც ჩვენ სასარგებლოთ დასრულდა.

დასავლეთის ფრონტი.

4 ნოემბერი. მტერი იძულებული გავხადეთ ქ. იზნიკედან დაეხია ქემლჯიკის მიმართულებით. კედოსის რაიონში მტერი შეეცადა გიუნაისკენ წინ წამოსვლას, მაგრამ ჩვენ უკუვაგდეთ. უშაკის ფრონტზე ბერძნებმა ძველ პოზიციებზე დაიხიეს.

8 ნოემბრიდან ფრონტზე სრული სიწყნარეა,

მდგომარეობა არაკში (მესოპოტამია.)

ანგორა, 20 ნოემბერი. ინგლისელებს თავს დაესხა ადგილობრივი მცხოვრებნი. ინგლისელების მდგომარეობა გართულდა. ამის გამო მიმოსვლა ბაღდათსა და მოსულს შორის შეწყვეტილია. ინგლისელები ძლივს მაგრდებიან ბაღდათში. ქალაქი გარშემორტყმულია. ინგლისელების საწინააღმდეგო მოძრაობა თან და თან ძლიერდება. ალიპპო ისევ გარშემორტყმულია არაბების მიერ. იაკუბაში მყოფ სომხებს ინგლისელები მოსულში გზავნიან. არაბებმა დააკავეს ინგლისელების მატარებელი ბაღდადასარის გზაზე, გასცარცვეს ყველა ინგლისელები და გააფუჭეს მატარებელი. ნაჯაფასთან ინგლისელებსა და არაბებ შორის შეტაკების დროს, არაბებმა წაიყვანეს ტყვეთ 400 კაცი,

ს ა ვ ი ნ კ ო ვ ი

ნაუენი, 5 დეკ. გაზ. „სვობოდა"-ში სავინკოვი იცავს ბალახოვიჩს და ამბობს, რომ ებრაელების ახალგაზრდობა თვით არის დამნაშავები, მათ არ მოისურვებს ბალახოვიჩის ჯარში სამსახური და შეადგინეს განსაკუთრებული პოლკი თავდაცვის მიზნით.

პოლონელთა და ებრაელთა შერიგება

ნაუენი, 5 დეკ. ვილნოში მოხდება ყრილობა ებრაელების და პოლონეთის ყველა პარტიების წარმომადგენლებისა. ყრილობის მიზანია კეთილ-მეგობრული ურთიერთობა დაამყარონ ებრაელებსა და პოლონელებს შორის.

დაშნაკურ სომხეთის უკანასკნელი მეგობრები.

ლიონი, 5 დეკ. ხალხთა ლიგის შეკითხვაზე, შვეიცის და ნორვეგიის მთავრობებმა უპასუხეს, რომ ისინი დიდათ არიან დაინტერესებულნი სომხეთის ბედით, მაგრამ რადგან შორს ვიმყოფებით ამ ქვეყნიდან, არ შეგვიძლია დახმარება აღმოუჩინოთ მასო.

უფლება და სამართლიანობა.

ლიონი, 5 დეკ. ბერლინიდან იტყობინებიან, რომ მოკავშირეებსა და გერმანიას შორის შეთანხმების თანახმათ გერმანიამ სამი თვის განმავლობაში უნდა მისცეს მოკავშირეებს: 1.600.000 ქათამი, 100.000 იხვი, 40.000 ბატი, 165 თხა, 25.000 ვერძი, 550 გარეული ღორი, 15.000 ღორი. 6 თვის განმავლობაში გერმანელებმა უნდა მისცენ 30.000 ცხენი, 125.000 ცხვარი, 60.000 ხარი და ხბო, 30.000 ძროხა. კომისია მოითხოვს, რათა ეს მოთხოვნილება გერმანიამ დაუყოვნებლივ შეასრულოს.

გაფიცვა იტალიაში.

ლიონი, 5 დეკ. ბარსელონაში მოხდა შეტაკება პოლიციელებსა და გაფიცულებს შორის, დაიჭრა ორი. სარაგოსში ქალაქის ორი მოხელე დასჭრა სინდიკატის მდივანმა.

გერმანიის კომუნისტების ყრილობა.

ნაუენი, 5 დეკ. დღეს გაიხსნა გერმანელ გაერთიანებულ კომუნისტების, მემარცხენე დამოუკიდებლების და კომუნისტების ყრილობა. ყრილობას დაესწრენ ინგლისის, შვეიცარიის, ჰოლანდიის, უნგრეთის და ჩეხო-სლოვაკიის კომუნისტები. საფრანგეთის და დანიის ამხანაგებმა ვერ მიიღეს ნებართვა თავიანთ მთავრობებისაგან აქ ჩამოსვლისა. შვეიცის დელეგატები ვერ ჩამოვიდენ, ვინაიდან მათ პასპორტები არ მისცეს. ლევიმ გააკეთა მოხსენება, რომელშიაც ხაზი გაუსვა თუ რა მძიმე პირობებში უხდება მათ პარტიული მუშაობა, მან სთქვა: ჩვენი გზა, ეს გაერთიანებული გზაა მოსკოვისო.

რალლისის კაბინეთი და მოკავშირეთა ნოტა.

ათინა, 6 დეკ. საბერძნეთის მინისტრთა საბჭო მოკავშირეთა ნოტის მიღების უმალ შეიკრიბა სათათფიროთ, რაც ორი საათი გაგრძელდა. თათფირის შედეგები ოფიციალურათ არ გამოქვეყნებულა. იტყობინებიან რომ ნოტაზე საბერძნეთის მთავრობა არავითარ პასუხს არ გასცემსო. მიუხედავათ ამისა საბერძნეთი მაინც გადასდგამს ისეთ ნაბიჯებს, რომლითაც დაუმტკიცებს მოკავშირეთ, თუ რამდენათ საბერძნეთის ხალხი მადლიერია მოკავშირეების მათ მიერ საბერძნეთზე აღმოჩენილ დახმარებისათვის.

არგენტინა გამოდის ხალხთა ლიგიდან.

ლიონი, 6 დეკ. პუერედონმა, არგენტინის დელეგაციის მეთაურმა ვანუცხადა ხალხთა ლიგას, რომ ვინაიდან ხალხთა ლიგამ უარი განაცხადა არგენტინის მიერ შეტანილ წინადადებაზე ხალხთა ლიგის წესდების შეცვლაზე, რომელიც შეეხება ხალხთა უფლებას, არგენტინას დელეგაცია იძულებულია შეწყვიტოს მუშაობა ხალხთა ლიგაში.

გენერალ ვილლზე თავდასხმა.

ლიონი, 6 დეკ. მექსიკის საელჩო იტყობინება, რომ გენერალ ვილლს თავს დაესხენ და გენერალი მძიმეთ დასჭრესო.

საბერძნეთის მემკვიდრის დაბრუნება სამშობლოში

ლიონი, 6 დეკ. 3 დეკემბერს საბარძნეთის მინონოსცი გაემგზავრა სტამბოლიდან კონსტანცში საბერძნეთის მემკვიდრის წამოსაყვანათ, რომელიც გაემგზავრება ათინაში.

კომუნისტების პარტეიტაკის გახსნა.

მოსკოვი, 8 დეკემბერი. გერმანელ კომუნისტების პარტეიტაგის გახსნა ჩატარდა დიდი ზეიმით. სხდომის დარბაზში ორატორის ტრიბუნის ზევით მიეფენილი იყო უზარმაზარი საბჭოთა ვარსკვლავი. პირველმა ორატორმა აღნიშნა რომ საბჭოთა რესპუბლიკას ძლიერი გავლენა აქვს მთელი ქვეყნის პროლეტარებზე.

არგენტინა და ხალხთა ლიგა.

ლიონი, 8 დეკ. ორშაბათს ჟენევაში მოაწყვეს ოფიციალური საუზმე ხალხთა ლიგის საფრანგეთის დელეგაციის წევრების პატივსაცემათ. საუზმეს დაესწრენ აგრეთვე არგენტინის დელეგატები. ამ საუზმეზე მოხდა საფრანგეთის და არგენტინის დელეგატების მორიგება. ურაგვაის დელეგატმა ბლანკომ საფრანგეთის აზრი გამოსთქვა. ბლანკოს სიტყვებს შეუერთდა ბრაზილიის დელეგატი ოკტავლო. მისი აზრი ყველამ მოიწონა. ლეონ ბურჟუამ შეადარა არგენტინა ჰაეროპლანს, რომელიც ღრუბლებში იმალება მაგრამ იმავე მიზანს ემსახურება, რასაც ხმელეთზე დარჩენილი ქვეითა ჯარი. არგენტინის დელეგატ პუეირედონმა ისარგებლა ამ შედარებით და სთქვა, რომ დიდათ შსეცდებოდა ის არმია, რომელიც არ დაიჯერებდა ავიატორებისაგან გადმოცემულ ცნობებს. თავისი სიტყვა დაამთავრა საფრანგეთის დღეგრძელობის სურვილით.

სრული მარცხი.

მოსკოვი, 7 დეკემბერი. საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ესერების და კადეტების მიერ შექმნილი კავშირი დაირღვა. კერენსკიც—კი უარსყოფს იმ კონფერენციაზე მონაწილეობის მიღებას, რომელსაც ყოფილი სახელმწიფო დუმის წევრები აწყობენ ნაციონალური ბლოკის შესაქმნელათ. კონოვალოვი, გუჩკოვი, გოლიცინი და სხვა შავრაზმელები გახურებულ მოლაპარაკებას აწარმოებენ საფრანგეთის მინისტრებთან და მისალმების დეპეშებს უგზავნიან ვრანგელს. რუსეთის ჟურნალისტების მეთაურმა ფილოსოფოვმა პოლონეთის მთავრობას მიმართა, რომ დაეხმაროს კომიტეტს. მაგრამ თხოვნა ჯერჯერობით უყურადღებოთაა დატოვებული. ნივთიერი საშვალების უქონლობით კომიტეტი უქმათაა. ფილოსოფოსი პარიზში გაემგზავრა, რომ საფრანგეთის მთავრობიდან სუბსიდები გამოითხოვოს.

ინგლისის კაპიტალისტების გულკეთილობა.

მოსკოვი, 7 დეკ. ვარშავაში პეტლიუ-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური.

მთელს ესპანიაში საყოველთაო გაფიცვების გამოსაცხადებლათ მოძრაობა იზრდება.

სტოკჰოლმში უმუშევართა რიცხვი დღითი დღე იზრდება.

კავკავის ოლქში აღმოაჩინეს შეთქმულთა ორგანიზაცია. უნახეს ასაფეთქებელი ნივთიერებანი. შეთქმულები შეიპყრეს.

ქემალს სომხეთის ფრონტებიდან სიმირნის ფრონტზე გადაყავს ჯარები.

საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ ესერების და კადეტების მიერ შექმნილი კავშირი დაიშალა.

საბჭოთა რუსეთში

ბოლოს ჯარების ნაშთების დასახმარებლად ინგლისელებმა დამხმარე კომიტეტი მოაწყვეს.

პოლონეთი საქონლის გაცვლა-გამოცვლისთვის ემზადება.

მოსკოვი, 7 დეკ. ვარშავის გაზეთი „კურიერი“ იუწყება, რომ ზავის შეკვრის მოახლოვების გამო, რუსეთთან ვაჭრობის განახლების საკითხის გარშემო დიდი მითქმა-მოთქმა განახლდაო. ვაჭრობის, მრეწველობის და ფინანსების ცენტრალური საზოგადოება ანკეტებს უგზავნის ყველა სამრეწველო ორგანიზაციებს, რომ მას შეატყობინონ, რა საქონელს დაამზადებენ რუსეთში გასაგზავნათ და რა საქონელი ესაჭიროებათ.

ითიშებიან...

მოსკოვი, 7 დეკ. ვრანგელის განადგურების შემდეგ პოლონეთსა და საფრანგეთს შორის მეგობრობის ძაფები თან და თან წყდებიან. ერთ—ერთ პარიზში პოლონეთის მთავრობა საფრანგეთის მთავრობას სწერდა, რომ რიგაში ზავი მიტომ დავდეთ, რომ მას პოლონეთის ხალხი მოითხოვდაო. ომის გაგრძელება პოლონეთში რევოლიუციას გამოიწვევდაო. ახლა ირკვევა, სწერია პასუხში, თუ რა ცუდ მდგომარეობაში იყო პოლონეთი საზავო კონფერენციის წინ.

გაფიცვები ესპანიაში.

მოსკოვი, 7 დეკ. საყოველთაო გაფიცვების სასარგებლოთ მოძრაობა მთელს ესპანიას მოედო. მოელიან საალყო წესების გამოცხადებას.

უმუშევრობა შვეიცარიაში.

მოსკოვი, 7 დეკ. სტოკგოლმში უმუშევართა რიცხვი 40 ათასს უდრის. უმუშევრათ რჩებიან ათასობით კანტორების, სამრეწველო დაწესებულებების და სავაჭრო ფირმების მუშა-მოსამსახურეები.

ლეიგის განცხადება.

მოსკოვი, 7 დეკემ. ლოიდ ჯორჯმა საფრანგეთის პრემიერს ლეიგს თავისი რუსეთთან შეთანხმების პირობები გააცნო. ლეიგმა აღნიშნა ინგლისის და საფრანგეთის პოლიტიკის ურთიერთთან დაცილება და სთქვა, რომ საფრანგეთი საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდის ძველ პოზიციას არ დასტოვებსო. ერთად ერთი, რასაც ჩვენ დავთმობთო, ამბობს ლეიგი, ის არის, რომ ნებას მივცემთ საფრანგეთის კერძო მწარმოებლებს, თუ ესურვებათ და გაბედავენ, დაიწყონ რუსეთთან ვაჭრობა.

უნგრეთში თეთრის გაფრთხილება.

მოსკოვი, 7 დეკემბერი. საფრანგეთის პრემიერ მინისტრმა თხოვნით მიმართა უნგრეთის მთავრობას, რომ სიკვდილ მისჯილი კომუნისტები არ დასაჯონ.

შვეიცის მემარჯვენე სოციალისტურ პარტიამ ამცნო უნგრეთის მთავრობას, რომ თუ ექნება ადგილი კომუნისტების სიკვდილით დასჯას, ის საყოველთაო გულის წყრომას გამოიწვევსო.

საბერძნეთის პლებისციტის შედეგები.

ლიონი, 8 დეკ. საბერძნეთის პლებისციტის ნამდვილი შედეგები ჯერ არ გამორკვეულა, აუცილებელია, რომ მეფე კონსტანტინე დაბრუნდება. მოკავშირეების ნოტებმა ძალიან ცუდი გავლენა მოახდინეს ბერძნებზე. ლაპარაკობენ, რომ პარლამენტი იქნება მოწვეული ერთი თავის შემდეგ, რათა არ შისცენ საშვალება ვენიზელოსელების მომხრეებს მიუთითონ მთავრობის პოლიტიკის საფრთხეზე.

ინტერვიუ მეფე კონსტანტინესთან.

ლიონი, 8 დეკ. გავასის სააგენტოს წარმომადგენელი ლიუცერნში ესტუმრა მეფე კონსტანტინეს. მეფემ დაათავა საუბარი შემდეგი სიტყვებით: „ჩემი ჯარის კაცები პატიოსნათ იცავენ საბერძნეთის ეროვნულ ინტერესებს... და აგრეთვე ანტანტის ინტერესებსაც, ვინაიდან ჩვენ და მოკავშირეები გაერთიანებული ვართ სევრის ხელშეკრულობის გამო. ჩემი მისწრაფება არის, რომ გავფანტო ის ცრუ ხმები, რომლებიც ლაღადებენ ვითომ მე მოკავშირეების პოლიტიკის წინააღმდეგი ვიყო.

უნგრეთი და საბერძნეთი.

ბუდაპეშტი, 7 დეკ. (რადიო გაზ. „ვაზდიას“, ბმსტერდამში). უნგრეთის გენერალურმა ელჩმა ვენაში მიიღო ზომები უნგრეთის და საბერძნეთის ეკონომიურად დაახლოვების. ამგვარად განახლდა ძველი მისწრაფებანი უნგრეთისა. უნგრელების ინტერესების სფერა ახლო აღმოსავლეთშია. უნგრეთმა უნდა გაიტანოს ნედლი მასალა თავის ქვეყნიდან და შეიტანოს დამზადებული საქონელი.

ემიგრაციის საკითხი და ბოლშევიკების შიში.

ნაუენი, 8 დეკ. (დასაწყისი არ მოსულა). საპასპორტო მთავარი ბიურო აცხადებს, რომ მიღებული უნდა იქნეს ზომები, რათა საბჭოთა რუსეთის აგენტებს საშვალება არ მიეცეთ ამერიკაში გასვლისა. საპასპორტო ბიუროს ბერლინის წარმომადგენელი ლოგი აცხადებს, რომ არსებული წესებიც არ იძლევა საკმაო უფლებებს პასპორტების კონტროლისას. ამერიკაში გასვლის უფლება ქონდათ იმ პირებსაც, რომლების ტენდენციები უკიდურესად მიაჩნდა პოლიციას. გერმანიიდან ემიგრანტების მრავალი რიცხვი მიემგზავრება სამხრეთ ამერიკაში და გერმანიის ყოფილ კოლონიებში სამხრეთ აფრიკაში. სხვა ქვეყნების ემიგრანტები კი მიემგზავრებიან შეერთებულ შტატებში. სლოვაკიიდან მთელი სოფლები სახლდებიან. ამერიკის ელჩმა ვარშავაში განაცხადა, რომ ის ყოველ დღე 500 ებრაელს აძლევს ნებართვას ამერიკაში, თუმცა ისინი არ მიაჩნია სანდო პირებათ. ამერიკაში გადასახლდება ძალიან ძნელია, ვინაიდან გემების სივიწროვეა. მიუხედავათ იმისა, რომ თითო ნებართვაზე 10 დოლარს ღებულობენ, ემიგრანტების რიცხვი მაინც იზრდება.

ანგორა და რუსეთი.

ანგორა, 8 დეკ. ანგორის მთავრობა ოფიციალურად უარყოფს ინგლისის აგენტების გავრცელებულ ხმებს სტამბოლში ვითომ ქემალისტებს განზრახვა ქონდეთ ბოლშევიკებთან ომის დაწყებისა. ამ ხმებს აქვს მიზნათ ჩამოაგდოს უთანხმოება ოსმალებსა და რუსებს შორის.

ვრანგელი ჯავრობს.

მოსკოვი, 8 დეკ. ვრანგელმა განუცხადა მოკავშირეთ: თუ რომ ისინი არ უწევენ ანგარიშს შექმნილ მდგომარეობას და ვრანგელის არმიას სთვლიან როგორც გადმოხვეწილთა ბრბოს –იმ შემთხვევაში ის უარყოფს სკოროპადსკისა და პეტლიურას როლი შეასრულოს.

დაუხმარებლათ.

მოსკოვი, 8 დეკ. ბალახოვიჩი და საინკოვი თავის ჯარის დამარცხების მიზეზათ იმას სთვლიან, რომ გლეხობა არ უჭერდა მათ მხარს. ბალახოვიჩი მძიმეთაა დაჭრილი.

სირია-პალესტინის საზღვრების დადება.

ლიონი, 8 დეკ. ლონდონში ყოფნისას ლეიგმა ლოიდ-ჯორჯთან ერთად განიხილა სირია-პალესტინის საზღვრების საკითხი. ინგლისმა ნება დართო საფრანგეთს შესცვალოს საზღვრები სირიის სასარგებლოთ. სირიას უბრუნდება ყველა ის ჩანჩქრები და წყაროები, რომლებზედაც თავის უფლებებს აცხადებდა ინგლისი.

კიდევ ვრანგელი.

ლიონი, 8 დეკ. ვრანგელი აცხადებს, რომ ის გენერალ კუტეპოვის რაზმთან ერთათ რჩება გალიპოლში,

ტიფი პოლონეთში.

ლიონი, 8 დეკ. პოლონეთში მძვინვარებს ტიფი. საფრანგეთი აძლევს პოლონეთს ტიფთან საბრძოლველათ 50 ათას დოლარს ნაწილს ფულათ და ნაწილს მედიკამენტებით. ასეთსავე დახმარებას ჰპირდებიან სხვა სახელმწიფოს წარმომადგენლებიც.

შრომის ფრონტი

მოსკოვი, 8 დეკ. საბჭოთა რუსეთს ჩამოსული უცხოელი ერთხმათ აღნაშნავენ, რომ საბჭოთა მთავრობას დიდი შედეგებისთვის მიუღწევია სათბობ მასალების დაგროვებისა და ტრანსპორტის აღდგენის საქმეში. მართლაც და 1917 წელს დამზადდა 13 მილიონი ფუთი სათბობი მასალა. წარსულ წელს დამზადდა 9 მილიონი ნახევარი ფუთი. მიმდინარე წელს განზრახულია 15 მილიონ ფუთი სათფობ მასალის დამზადება. სათფობ მასალების დამზადების ნაყოფიერებას ხელი შეუწყო წითელ არმიის გამარჯვებამ და აგრეთვე სამეურნეო ორგანოების გაუმჯობესებამ. ტრანსპორტის მდგომარეობას აღნიშნავს მოსკოვში მომხდარ ტრანსპორტის მუშების სიეზდი. ორთქლმავალების და ვაგონების შეკეთება სრულიად დამთავრებული იქნება. საფიქრელია, რომ ტრანსპორტის მოწყობას მოუნდება არა 4 ნახევარი წელიწადი, როგორც ეს გამოანგარიშებული იყო, არამედ უფრო ნაკლები დრო.

ძირს შემთანხმებლობა

მოსკოვი, 8 დეკ. ასტრახანში სამხედრო მეზღვაურთა უპარტიო თათბირმა დაადგინა სრულიად რუსეთის საბჭოების სიეზდზე გასაგზავნ დელეგატების საყურადღებოთ: 1) თათბირი ნდობას უცხადებს სახალხო კომისართა საბჭოს, 2) არავითარი შეთანხმების პოლატიკა არ იქნეს წარმოებული ანტანტასთან.

დაუღალავ შრომისაკენ

ალექსანდროპოლი, 25 (?) ნოემბერი. სომხეთის კომუნისტურ პარტიის ალექსანდროპოლის საოლქო კომიტეტის ორგანო „კომუნისტი“ თავის მოწინავე წერილში 21 (?) ნოემბრიდან სწერს:

„სომხეთში გამოცხადებულია საბჭოთა მთავრობა. სომხეთის კომუნისტურ პარტიის მიერ არჩეული სამხედრო-რევოლიუციონური კომიტეტი თავის ძალაუფლებას აცხადებს ალექსანდროპოლში. ის უკვე შეუდგა მუშაობას. ეს გადატრიალება ყოველ მხრივ შესცვლის სომხეთის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკას. დაშნაკელების მთავრობა დღემდე ცდილობდა ევროპის ბურჟუაზიის ინტერესების დაცვას და აგრეთვე თავისი ხმბაპაპეტურ გემოვნების დაკმაყოფილებას. მაგრამ ახლა, როდესაც სომხეთის მუშები და გლეხები თავის ხელში იღებენ თავიანთ ბედს, როდესაც ევროპის და სომხეთის იმპერიალიზმი იდევნება ჩვენი ქვეყნის საზღვრებიდან, აი, ამ დროს მუშურ-გლეხურ მთავრობას მიზნათ აქვს ამხანაგური კავშირის შეკვრა საბჭ. რუსეთის, ადერბაიჯანის, სომხეთის და ოსმალეთის რევოლიუციონურ ძალებთან. აღმშენებლობითი მუშაობისათვის დაშნაკური მთავრობა უძლური იყო. ის არღვევდა და ეხლაც არღვევს ეკონომიურ ცხოვრებას. ქვეყნის გარდაქმნა, გაყვლეფილთა მდგომარეობის გაუმჯობესება—აი, მუშურ გლეხურ მთავრობის მიზანი. მთელს სომხეთში უნდა გაისმას ყიჟინა: ყველანი სამუშაოსაკენ. მოღალატე იქნება ის, ვინც ასეთ დროს ხელებს დაიკრებს გულზე და სახლში დაჯდება, მუშები და გლეხები გაამაგრებენ თავიანთ ძალა-უფლებას დაუღლელი შრომით.

ბადეს მოყვენ.

კავკავი, 7 დეკემბერი. კავკავის ოლქში აღმოაჩინეს კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაცია. ნახეს და ჩამოართვეს ტყვიისმფრქვეველი, ერთი ბოჭკა ასაფეთქებელ მასალებისა და პიროსილინისა. დატუსალებულია 30 კაცამდე კონტრრევოლიუციონერი, რომელთაც აღმოაჩნდათ დოკუმენტები ერთი უცხო სახელმწიფოს საეჭვო მოქმედებაზე მღალადებელნი.

დოროშევიჩი საბჭოთა მთავრობის შესახებ.

მოსკოვი, 8 დეკემბერი. კავკასიის გაზეთები უარყოფენ ხმებს მწერალ დოროშევიჩის სიკვდილის შესახებ. დოროშევიჩი სცხოვრობს სიმფეროპოლში. რუს. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში დოროშევიჩმა განაცხადა: საბჭოთა ძალა-უფლება არის ნამდვილი მშრომელთა ძალა უფლება. ძველი წესწყობილება არ დაბრუნდება და შეუძლებელია მისი დაბრუნება. პროლეტარული დიქტატურა არის ერთად ერთი შესაძლებელი ძალა-უფლება დღევანდელ დღეს. სანეტარო მოვლენათ მიმაჩნია მე ინტელიგენციის დაახლოვება საბჭოთა ძალა-უფლებასთან. ეს დაახლოვება მაგრდება ინტელიგენციის მიერ კომუნიზმის იდეების შეთვისებასთან ერთად. დოროშევიჩი აპირებს ამ მოკლე ხანს პეტროგრადში გამგზავრებას, რომ მიიღოს მონაწილეობა საბჭოთა პრესაში.

რუსეთის ავიაციის მამა

მოსკოვი, 7 დეკ. სახალხო კომისართა საბჭო გაეცნო რა 50 წლის სამეცნიერო მოღვაწეობას პროფესორ ჟუკოვსკისას, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის რუსეთის ავიაციის განვითარებაში დაადგინა დაუნიშნოს მას 100.000 მან. თვიური ჯამაგირი და გამოსცეს ჟუკოვსკის ყველა ნაწარმოებნი.

„ფრონტზე სიწყნარეა—სამუშავო ზურგშია“

მოსკოვი, 7 დეკ. „პრავდა“ სტატიაში „ფრონტზე სიწყნარეა — სამუშავო ზურგშია“—სწერს: „ჩვენი სამხედრო ცნობები თანდათან შემოკლდა და ახლა გადაიქცა მშრალ ფორმულად: ყველა ფრონტზე სიწყნარეა. ასეთი სამხედრო ცნობები ჩვენი რევოლიუციის ისტორიაში ჯერ არ ყოფილა, ვინაიდან სამი წლის განმავლობაში არ ყოფილა არც ერთი წუთი და საათი, რომ ჩვენ რესპუბლიკას არ დასხმოდენ თავს მრავალ რიცხოვანი მტრები. ასეთი სამხედრო ცნობები პირველად გვესმის. ახლა კი ჩვენ გვაქვს ახალი ფრონტი—ფრონტი შრომის, ფრონტი ეკონომიურ სიბეჩავესთან ბრძოლის.

სწორეთ ამ სამხედრო ბრძოლის შეწყვეტის დღეებში, რუსეთის პროლეტარიატმა გახსნა ახალი ორთქლმავლის საშენებელი ქარხანა პოდოლსკში. ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ რუსეთის პროლეტარიატმა არაფრისაგან გააკეთა ბევრი და გააშენა ისეთი ახალი ქარხანა, რომელშიაც მუშაობს 3.000 კაცი და უკვე გამოუშვა 50 ორთქლმავალი. რამდენი გამოგონება და მუშაობა დაგვჭირდა ამ ქარხნის ასაშენებლად. ათეული დიდი და პატარა ტეხნიკური საშუალებანი იქმნა მოხმარებული ამ ქარხნის მოსაწყობათ. იქმნა გამოძებნილი 200-დის დაზგა.

ახლა ჩვენ პირველად გვაქვს ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკის დაარსები დან ახალი ორთქლის მაშენებელი ქარხანა. ამ ქარხნის შინაგანი მოწყობილობა რაღაც ახალის მომასწავებელია. ვგრძნობთ, რომ იწყება ახალი ერა—ერა რუსეთის ეკონომიურ ძალების ასაღორძინებლად და მრეწველობის განსავითარებლად.

შრომის ფრონტზე.

სარატოვი, 8 დეკ. ვოლგაზე გემების მიმოსვლის დაწყების დღიდან, მარტო ვოლსკიდან გატანილია 4.316.868 ფუთი სხვადასხვა საქონელი, მათ რიცხვში 978,094 ფუთი პური და 1,872,990 ფუთი ცემენტი. ზამთარში შეაკეთებენ 38 ხომალდს, რომლებიც დგანან ვოლსკის ნავთსადგურში.

7 დეკემბერს გათენებისას გვარდიის ლაზარეთში გარდაიცვალა თბილისის 1-ლ რაიონის კომუნისტური ორგანიზაციის წევრი ანტონ (არტემ) გრიგოლის-ძე ოქუაშვილი. გამოსვენება მოხდება 10 დეკემბერს, პარასკევს დილის 11 საათზე, საიდანაც წაასვენებენ ხოჯევანქის სასაფლაოზე.

მუშათა ცხოვრება

ახალი დელეგაცია

11 ოქტომბერს პეტროგრადში ჩამოვიდა ჩეხო-სლოვაკიის და რუმინიის პროფესიონალურ კავშირთა დელეგაცია. დელეგაციის ნაწილი ამხ. დუნკერის მეთაურობით დარჩა რეველში, რომელსაც მოსკოვში მოელიან 14 ოქტომბერს.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიან: რუმინიის პროფ. კავშირების წარმომადგენელი 1 და ჩეხო-სლოვაკიის 10. ამ დელეგაციის ჩამოსვლა გამოწვე-

კომუნისტური ინტერნაციონალის ძირითად ამოცანათა თეზისები.

1. საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის განვითარებაში დღევანდელი მომენტი ხასიათდება იმით, რომ რევოლიუციონური პროლეტარიატის საუკეთესო წარმომადგენლებმა ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში, სავსებით გაიგეს კომუნისტური ინტერნაციონალის ძირითადი პრინციპები, სახელდობრ: პროლეტარიატის დიქტატურა და საბჭოთა ძალა-უფლება; და თავდადებული ენტუზიაზმით დადგენ კომუნისტური ინტერნაციონალის მხარეს. კიდევ უფრო დიდ და მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს ის, რომ ყველგან, არამც თუ მხოლოდ ქალაქის პროლეტარიატის ფართო მასსებში, არამედ სოფლის მუშათა მოწინავე ნაწილშიაც, სავსებით ჩამოყალიბდა მათი სრული თანაგრძნობა ამ ძირითად პრინციპებისადმი.

მეორე მხრივ, აღინიშნა ორი შეცდომა, ან და ორი სუსტი მხარე, არაჩვეულებრივი სისწრაფით მოზარდ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისა. ერთი, რომელიც წარმოადგენს მეტად სერიოზულ და უდიდეს საფრთხეს პროლეტარიატის საქმის გამარჯვებისათვის,—მდგომარეობს იმაში, რომ ნაწილი მეორე ინტერნაციონალის ძველ პარტიათა და ძველ მეთაურთა, ზოგჯერ, ნახევრათ შეუგნებლად უთმობს მასსების სურვილს და ძალდატანებას, ზოგჯერ კი შეგნებულად ატყუებს რა მათ, რომ შეინარჩუნოს თავისი ძველი როლი—ბურჟუაზიის აგენტების და თანაშემწეებისა,—შიგ მუშათა მოძრაობაში,—აცხადებენ, რომ ისინი, პირობით ან და თითქმის უპირობოთაც, უერთდებიან მესამე ინტერნაციონალს მაშინ, როდესაც სინამდვილეში, მთელი თავისი პარტიული პოლიტიკური მუშაობის პრაკტიკით—რჩებიან მეორე ინტერნაციონალის დონეზე. ასეთი საქმის მდგომარ ობა სრულიად დაუშვებელია, ვინაიდან მას შეაქვს მასსებში პირდაპირი გარყვნა, აბრკოლებს ძლიერი კომუნისტური პარტიის შექმნას და განვითარებას, სახელს უტეხს მესამე ინ—ლს, ემუქრება ისეთი ღალატების განმეორებით, როგორიც იყო ღალატი უნგრელი სოციალ-დემოკრატებისა, ასეთი სიჩქარით რომ მოინათდენ კომუნისტებათ. მეორე შეცდომა, გაცილებით უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანი, ასე ვთქვათ, განვითარების ზრდის ავადმყოფობა, მდგომარეობს „მემარცხენეობისადმი“ მისწრაფებაში, რასაც შედეგათ სდევს შემცდარი შეფასება პარტიის როლისა და დანიშნულებისა კლასთან და მასასთან დამოკიდებულებაში და ყალბი შეხედულება რევოლიუციონურ კომუნისტების მოვალეობაზე—იმუშავონ ბურჟუაზიული პარლამენტებში რეაქციონურ პროფკავშირებში.

კომუნისტები ვალდებულნი არიან არ დამალონ თავის მოძრაობის სუსტი მხარეები, პირიქით აშკარა კრიტიკაში გაატარონ ისინი, რომ უფრო სწრაფად და უფრო რადიკალურათ დაახწიონ თავი მათ. ამისთვის აუცილებლივ საჭიროა 1) უფრო კონკრეტიულად განსაკუთრებით პრაქტიკაში მიღებულ გამოცდილების საფუძველზე, განმარტებულ იქნას შინაარსი ცნებათა: „პროლეტარიატის დიქტატურა“ და „საბჭოთა ძალა უფლება“, 2) ნაჩვენები იქნეს, თუ სახელდობრ, რაში შეიძლება და უნდა მდგომარეობდეს ყველა ქვეყნებში წარმოებული დაუყოვნებლივი და სისტემატიური მომზადებითი მუშაობა, რომელიც ანხორციელებს ამ ლოზუნგებს; 3) აგრეთვე დასახულ იქნეს გზები და საშუალებები, რომ ჩვენი მოძრაობა გამოსწორდეს, ასეთ მის ნაკლულევანებათაგან.

I პროლეტარიატის დიქტატურის და საბჭოთა ძალა-უფლების არსება

2 სოციალიზმის (როგორც კომუნიზმის პირველი საფეხური) გამარჯვება კაპიტალიზმზე მოითხოვს პროლეტარიატისაგან, როგორც ერთად ერთ ნამდვილ რევოლიუციონურ კლასისაგან, განხორციელებას შემდეგი 3 ამოცანისა. პირველი,—დაამხოს ექსპლოატატორები და, პირველ რიგში, ბურჟუაზია, როგორც მათი (ექსპლოატატორების) უმთავრესი ეკონომიური და პოლიტიკური წარმომადგენელი: დაამარცხოს ისინი საბოლოოდ დაახშოს მათი წინააღმდეგობა, შეუძლებელი გახადოს მათ მიერ ყოველგვარი ცდა-აღდგენილ იქნეს კაპიტალის უღელი და დაჭირავებული მონობა. მეორე—გაიტაცოს და თან გააყოლოს პროლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულია ჩეხო-სლოვაკიაში უკანასკნელ მომხდარ ამბების გამო, სახელდობრ სოციალ-დემოკრატიულ მემარცხენე ფრთის მომხდარ ყრილობის გამო, რომელმაც დიდი ხმის უმრავლესობით გადაწყვიტა შეუერთდეს მესამე ინტერნაციონალს. ვინაიდან ჩეხო-სლოვაკიის კავშირები წმინდა პარტიულია (პროფ. კავშირის წევრი იმავე დროს უნდა იყოს პარტიის წევრიც.), პარტიის გადაწყვეტილებამ გავლენა იქონია პროფესიონალურ მოძრაობაზედაც და დასვა მის წინაშე. კითხვა ახალი ცენტრის გამონახვისა. თუ პარტია შედის მესამე ინტერნაციონალში, მაშინ პროფ. კავშირებიც უნდა შევიდენ მოსკოვის წითელ პროფ. კავშირების ინტერნაციონალში.

იმ პრაქტიკულ კითხვების გადასაჭრელად, რომელიც წამოაყენა პარტიის უკანასკნელმა ყრილობამ, ჩამოვიდა მოსკოვში დელეგაცია. ამ დელეგაციას უკვე ქონდა საუბარი ჩვენს დელეგაციასთან, რომელიც ახლა იმყოფება ბერლინში, როგორც მათ სიტყვებიდან გამოირკვა, მათი და წითელ პროფ. კავშირების საერთაშორისო საბჭოს შეხედულებანი ერთია. უფრო სხვაგვარად დგას კითხვა რუმინიის კავშირებთან. რუმინიის დელეგაცია, რომელიც ჩამოვიდა ჩეხო-სლოვაკიის დელეგაციასთან ერთად, უმთავრესად შედგება პარტიის წარმომადგენლებისაგან და არა პროფ. კავშირების. ამათ რიცხვში შედის მხოლოდ ერთი პროფესიონალისტი და ისიც არ ვიცით, რუმინიის რომელ პროფ. კავშირების მიმართულებას ემხრობა, მაგრამ რუმინიის დელეგაციის ჩამოსვლაც იმას მოასწავებს, რასაც მოასწავებდა აქამდის სხვა ქვეყნების შეკავშირებულ მუშების დელეგაციების ჩამოსვლა. მოსკოვი არის ერთად ერთი ცენტრი, რომელიც იზიდავს თავისკენ ყველა საღ მოაზროვნე მუშათა წრეებს. რუსეთის პროფესიონალურ მოძრაობის გაუცნობლად, საბჭოთა აღმაშენებლობის შეუსწავლელად, პროფ. კავშირებს ახალ საერთაშორისო საბჭოსთან შეუთანხმებლად, ვერც ერთი რევოლიუციონური გადაჯგუფება პროფესიონალურ კავშირებისა ვერ გადაჭრის სწორად საკითხს.

რუმინიის და ჩეხო-სლოვაკიის დელეგაციას ერთად მოსკოვში მოდის ამერიკის პროლეტარიატის წარმომადგენლებიც.

———

ჩვენსკენაც მოიხედეთ

ათ ნოემბრიდან მობილიზაციით გამოწვეულთა რიცხვში მოხვდა ბევრი მუშა მოსამსახურე, რომლებსაც არ ყავთ ოჯახში არავინ გარდა დედაკაცებისა და ბავშვებისა რომლებიც იყვნენ მათი სარჩენი, არ აქვთ შეშა, არ აქვთ ფქვილი და არც ფული, თუ რაიმე ოჯახის ავეჯეულება გაგვაჩნდა დავყიდეთ. ახლა კი გვიკრეს თავი ჯარში და ცოლშვილი მიტოვეეული გვყავს უპატრონოდ, პირადათ მე არ დამიტოვებია სახში ხუთასი მანეთის მეტი, არც ფქვილი არც შეშა და სახლიც ნაქირავები მაქვს. მთავრობა უნდა ღებულობდეს ზომებს, რომ ჩვენი ცოლშვილი შიმშილით არ დაიხოცოს. ხმებია, რომ სათადარიგო ჯარის კაცების ცოლშვილს მიეცემა მხოლოდ ნახევარი ჯამაგირი. სასაცილოა და შემდეგ სატირალი, მთელი ჯამაგირი რა არის რომ მისი ნახევრით ადამიანმა ოჯახი არჩინოს. ჩემი და საერთოდ სახელმწიფო დაწესებულების მუშა-მოსამსახურის ჯამაგირი არ აღემატება 7000 მანეთს. მოდით ირჩინეთ თავი ამის ნახევრით, მე ვერ გამომიანგარიშებია თუ როგორ ვიყოფინოთ ეს ჯამაგირი და ისევ ამას მივანდობ სატარიფო პალატას გოლდმანებს და შტეიმანებს, რომლებსაც სურთ თავისი პოლიტიკით მოსპონ ქართველი მუშა მოსამსახურეები შიმშილით. მაგრამ ისინი აგებენ პასუხს მშრომელი ხალხის წინაშე. საჭიროა მთავრობამ მიაქციოს ყურადღება სათადარიგო ჯარის კაცთა ცოლშვილის, ეკონომიურად უზრუნველყოფისთვის.

ურიგო არ იქნება რომ პროფესიონალურ კავშირებმაც აღიმაღლონ თავისი ხმა და დაგვეხმარონ ამ მხრივ.

ეხლა ცოტა რამ ყაზარმის ცხოვრებიდან. არ გვაძლევენ ქვეშაგებელს არ ანთია ცეცხლი.

კ. ტერეზიშვილი

პროვინციის ცხოვრება

სად. საგარეჯო

მსურს პატივისცემულ მკითხველებს გავაცნო შემდეგი: 22 ნოემბერს, სად. საგარეჯოში ამავე სადგურის მილიციელს დაუპატიმრებია თბილისიდან ჩამოსული, ავათმყოფ ებრაელი შამყონკრიხელი და დაუმწყვდევია იქვე სადგურის საბარგო განყოფილებაში. მიზეზი ებრაელის დაპატიმრების ის იყო, რომ მას სათანადო დოკუმენტი არ აღმოაჩნდა, აღმოაჩნდა მხოლოდ კომისარის მიცემული ქაღალდი საიდანაც მისი ვინაობის გაგება ადვილი იყო. ებრაელი იყო ახლათ გამოწერილი თბილისის საავათმყოფოდან და თავს გრძნობდა სუსტათ. საბარგო განყოფილებაში დამწყვდეულ ებრაელს, მიუვარდა სადგურის უფროსი კობეშავიძე და ჯოხით დაუწყო ცემა, უცემია იმდენი, რომ ებრაელი წაქცეულა ძირს და ამ ყვირილ—ტირილში მოსულან სადგურის დარაჯი და ტელეგრაფისტი; უნახავთ კაცი წაქცეულს ცემს, მისულან ახლო და შედგომიათ გაშველებას მარა ვერას გამხდარან, შემდეგ ტელეგრაფისტი გაქცეულა მილიციელის მოსაყვანათ და მილიციელის მოსვლისთანავე კობეშავიძემ თავი გაანება ცემას. ძირს ეგდო სისხლით ამოსვრილი—თავ-გახეთქილი ებრაელი და ყვიროდა „ვინა ხართ მიშველეთო". გალახული წაიყვანეს ექიმთან და შეამოწმებიეს, ოქმიც შეაყენა მილიციელმა მარა ვგონებ ამოდ, სადგურის უფროსი კობეშავიძე ცნობილია ხალხში თავისი უდიერი მოქმედებით მას ასეთი საქციელი მრავალჯერ აქვს ჩადენილი, ოქმებიც მაზე ყოფილა შედგენილი მარა ხომ მოგებსენებათ. ნათლის მამების წყალობით მას არ გასჭირებია გამოძრომა. თურმე გაიძახის: „რას დამაკლებთო" გალახული ებრაელის ჩვენებით, მას დაუკარგია ორმოცდა ათი ათასი მანეთი, რომელსაც აბრალებს სადგურის უფროსს.

— არ იქნა და არა, სასურსათო კომიტეტის რწმუნებულები პურის გაწესრიგებას არ აქცევენ ყურადღებას, დღემდე ტარდება ისე, როგორც ზოგიერთების ჯიბეს მოუხდება. მუშა-მოსამსახურენი პირ-ღია რჩებიან ზოგიერთების მოწყალეობით, მაგალ., არიან ისეთი პირები, რომლებიც ერთ გირვანქა პურის ნაცვლად იღებენ ათ და ოც გირვანქა პურს და მეტსაც, ეს ხდება ჩუმათ, ქურდულად; პურის ამწონი, იმ დროს, როდესაც მატარებლიდან ღებულობს პურს, მიაქვს დუქანში და რამდენიმეს ცალკე ინახავს, რომ სხვამ არ შეამჩნიოს, შეაქვს მეორე ოთახში ანუ ტომრებით ცალკე გადაგზავნის, შემდეგ მას ჰყავს თავისი აგენტები, რომლების წყალობით პური უარდება ისეთ პირებს, რომლებსაც არ ერგება ან ფულით ყიდიან. პურის რაციონი ყველამ ერთნაირათ უნდა მიიღონ, მაგრამ თუ გამოჩნდა ისეთი მოსარიდებელი პირი, რომელიც შთაბეჭდილებას მოახდენს პურის გამწესრიგებელზე, თავისთავადაც ცხადია, ის ყოველ შემთხვევაში მეტს მიიღებს და საწყალი დაბალ მუშა-მოსამსახურეები კი რჩებიან მშიერი. ხშირათ პურს ვერ ღებულობთ თუ კი დაივვიანეთ ერთი საათით გეუბნებიან: სად იყავით „პური გათავდაო", ეს იმ დროს, როდესაც უკანასკნელის რაციონი გამოწერილია და პურის გამწესრიგებელს ცალკე აქვს შენახული თავის აგენტებისათვის ანუ ძმა-ბიჭებისათვის; მერე მუშა-მოსამსახურეებს უხდებათ პურის ყიდვა თავის ხარჯზე ე. ი. ერთ გირვ. პურში უნდა გადაიხადოს 100—120 მანეთი. ეს იმ დროს, როდესაც მას ეძლევა თვეში — 4,500—5000 მან. ზოგი მშიერი, ტი[illegible]ლია და ზოგი მაძღარია; თავის ბედ[illegible]რებას სხვის უბედურებაზე აშენებენ [illegible] არის სამართალი? რა უჭირდათ ამ [illegible] კითხზე ცოტათი მაინც ყურადღება [illegible] ქციათ?

დროშ[illegible]

ჩვენი ფოსტა

ჯარის კაცს ტერეზიშვილს. რედ[illegible]ციისგან დამოუკიდებელ მიზეზებისა[illegible]მო მაგ საგანზე წერილებს ვერ დაებ[illegible] დავთ.

ჯარის კაცს ვ—შვილს. იგივე [illegible]სუხი.

ნაქალაქეველს. „შავი ტალღ[illegible]" [illegible] ზეთოთ არ გამოგვადგა. გენახებათ [illegible] დაქციაში.

დრ. რედაქტორი: ლ. სუხიშვილ[illegible]

განცხადებანი

გამომცემლობა „წითელი ვარსკვლავი"

გამოსულია.

1. ვინ არიან კომუნისტები (ბალშევიკ[illegible]ბი). ფ. 3 მ.
2. ნ. ლენინი და გ. ზინოვიევი. ინტერ[illegible]ნაციონალი მომაკვდავი და ინტერ[illegible]ნაციონალი ამომავალი. ფ. 5 მ.
3. მ. კასპიელი. ვინ სტყუის? ფ. 10 მ.
4. ნ. ლენინი. ეკონომიკა და პოლიტიკ[illegible] პროლეტარიატის დიქტატურის [illegible]ნაში. ფ. 5 მ.
5. ნ. ლენინი და გ. ზინოვიევი. რმი [illegible] სოციალიზმის კრიზისი. ფ. 20 მ.
6. მ. კასპიელი. ინტერნაციონალი [illegible]ომის საკითხი. ფ. 15 მ.
7. პროგრამა რუს. კომ. პარტიისა.
8. ბუხარინი. პროლეტ. დიქტატურა რუ[illegible]სეთში და მსოფლიო რევოლიუცია.
9. ნ. გექტორი. რით აიხსნება რუსეთის [illegible] სოციალისტ. რევოლიუციის ადვ[illegible]ლად გამარჯვება..
10. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, კომუ[illegible]ცენტ. კომიტეტის მიმართვა კავშ[illegible]რისადმი 1850 წ.

იბეჭდება:

11. ბუხარინი და პრეობრაჟენსკი. კომუ[illegible]ნიზმის ანბანი.
12. ზინოვიევი. პარტია და პროფესიონა[illegible]ლური კავშირები.
13. მინინი. რელიგია და კომუნიზმი.
14. პეტროვიჩი. პროლეტარებო ყველ[illegible] ქვეყნისა, შეერთდით!
15. კ. მარქსი. სამოქალაქო ომი საფრან[illegible]გეთში 1870—71 წ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3, მეორე სართული, ტელ. 8—91.

ცენტრ. კომ. ბიურო ღიაა დილის 11—1 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბილისის საგუბერნიო კომიტეტის ბიურო მოთავსებულია პასკ[illegible]ჩის ქუჩ. № 3, მეორე სართული. ტელ. 8—91. ბიურო ღიაა დილის 9—2 საათ[illegible].

ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ). ბიურო ღიაა დილის 10—12 საათ. [illegible] საღამოს 5—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. პირველი რაიონის ბიურო მოთავსებულია ჩერქეზოვის ქუჩ., № 135. ბიურო ღიაა საღ. 5—7 ნახ. საათამდე.

ს. კ. პ. თბილისის მეოთხე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ), სადაც სწარმოებს ახალი წევრების ჩაწერა და ძველი წევრების რეგისტრაცია.

ბიურო ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. მეორე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ). ბიურო ღიაა დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. მესამე რაიონის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭოს ბინაზე, სადაც სწარმოებს ახალი და ძველი წევრების რეგისტრაცია.

ბიურო ღიაა დილის 10—1 ნახ. საათამდე და საღამოს 5—7 ნახ. საათ.

ტარიატის ავანგარდს, მის კომუნისტურ პარტიას, არა მარტო მთელი პროლეტარიატი, ან და მისი უდიდესი ნაწილი, არამედ მშრომელთა და კაპიტალიზმის მიერ გაყვლეფილთა მთელი მასსა, გაანათლოს იგი, შეაკავშიროს ორგანიზაციებში, აღზარდოს, შეასწავლოს დისციპლინა—ექსპლოატატორების წგნააღმდეგ მიმართული, თავდავიწყებით მამაცურ და დაუზოგავათ მკაცრი ბრძოლის მსვლელობაში,—გამოგლეჯოს ბურჟუაზიის გავლენისაგან მცხოვრებთა ეს უდიდესი უმრავლესობა ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში; პრაქტიკული გამოცდილებით შთაუნერგოს მას ნდობა პროლეტარიატის ხელმძღვანელ როლისადმი და მისი რევოლიუციონურ ავანგარდისადმი. მესამე—მიიღოს ზომები, რომ ნეიტრალურ პოზიციაზე შეაჩეროს, ან და უვნებელი გახადოს, ის აუცილებელი ქანაობა ბურჟუაზიას და პროლეტარიატის, ბურჟუაზიული დემოკრატიის და საბჭოთა ძალა-უფლების შორის, რომელსაც იჩენს, თითქმის ყველა მოწინავე ქვეყნებში, ჯერ კიდევ საკმაოდ მრავალრიცხოვანი, თუმცა ყველა მცხოვრებლებთან შედარებით, უმცირესობაში მყოფი წვრილ მესაკუთრეთა კლასი, მიწადმოქმედებაში, მრეწველობაში, ვაჭრობაში და, აგრეთვე, ამ კლასის გარშემო თავმოყრილი ნაწილი ინტელიგენციისა, მოსამსახურეთა და სხვა.

პირველი და მეორე ამოცანა წარმოადგენენ დამოუკიდებელ ამოცანებს; თითოული მათგანი მოითხოვს მოქმედების განსაკუთრებულ საშუალებებს გამყვლეფელთა და გაყვლეფილთადმი დამოკიდებულებაში. მესამე ამოცანა გამომდინარეობს პირველ ორიდან და მოითხოვს **მათ საშუალებათა** გაგებულ, დროის შესაფერ, მოქნილ **შეთანხმებას**, იმის და მიხედვით, თუ რა კონკრეტულ პირობებში ხთება ამ მერყეობის ყოველივე თითოეული შემთხვევა.

3. იმ კონკრეტულ მდგომარეობაში, რომელიც მთელ მსოფლიოში და უფრო კი ყველაზედ მეტად მოწინავე, ყველაზედ უფრო ძლიერ, განათლებულ და თავისუფალ კაპიტალისტურ ქვეყნებში შემქმნელია იმპერიალიზმის, მილიტარიზმის, კოლონიების და სუსტ ქვეყნების ჩაგვრა-წვალების, მსოფლიო იმპერიალისტური ხალხთა ელიტის, ვერსალის „ზავის" მიერ აი, ამ კონკრეტულ პირობებით შექმნილ მდგომარეობაში — ყოველივე აზრის დაშვება იმაზე, რომ კაპიტალისტები უბრძოლველად დაემორჩილებიან გაყვლეფილთა უმრავლესობის ნებას, რომ შესაძლოა, მშვიდობიანური, რეფორმისტული გადასვლა სოციალიზმის სამეფოში—წარმოადგენს **არამც** თუ უკიდერეს მეშჩანურ ჭკუა-ბლაგვობას, არამედ, აგრეთვე, მუშების პირდაპირ დატყუილებას, კაპიტალიზმის დაქირავებულ მონობის შელამაზებას, სიმართლის მიჩქმალვას. ეს სიმართლე კი იმაში მდგომარეობს, რომ ბურჟუაზია, ყველაზედ უფრო განვითარებული და დემოკრატიული, უკვე ეხლაც არ ჩერდება არავითარი დატყუილების და დანაშაულის წინაშე, არ ერიდება მრავალ მილიონ მუშების და გლეხების ამოწყვეტას, ოღონდ კი გადაარჩინოს კერძო საკუთრება საწარმოვო საშუალებებზე. მხოლოდ ბურჟუაზიის ძალდატანებითი ძირს ჩამოგდება, მისი საკუთრების კონფისკაცია, განადგურება მთელი ბურჟუაზიული აპარატისა თავიდან ბოლომდე: პარლამენტის, სასამართლოების, სამხედრო დეწესებულებების, ბიუროკრატიზმის, ადმინისტრაციის, მუნიციპალიტეტების და სხ. ყველაზედ უფრო საშიშარ და მოუდრეკელი ექსპლოატატორების სრული განდევნა, ან და კონცენტრაციულ ბანაკებში მოთავსება, დაწესება მათზე სასტიკი ზედამხედველობისა, რათა ძირშივე ჩაკლულ იქნას წინააღმდეგობის გაწევის და კაპიტალისტური მონობის რესტავრაციის ყოველივე ცდა; აი მხოლოდ ამ გვარ ზომებს ძალუძთ უზრუნველ-ყონ ნამდვილი მორჩილება ექსპლოატატორების მთელი კლასისა.

მეორე მხრივ, კაპიტალიზმის და ბურჟუაზიული დემოკრატიის ასეთივე შელამაზებას და მუშების ამგვარსავე დატყუილებას წარმოადგენს მე-2 ინტერნაციონალის ძველ პარტიათა და ძველ მეთაურთა შორის ჩვეულებრივი მოვლენა—იმ აზრის დაშვება, რომ ვითომცდა მშრომელთა და გაყვლეფილთა უმრავლესობას შეუძლია, კაპიტალისტური მონობის პირობებში, ბურჟუაზიის ულის ქვეშ, რომელიც ღებულობს ურიცხვ სხვა და სხვა ფორმებს—მით უფრო დახელოვნებულს და, იმავე დროს, შეუბრალებელს და დაუზოგავს, რაც უფრო კულტურულია ესა თუ ის კაპიტალისტური ქვეყანა,—შეუძლებელია—გამოიმუშაოს სავსებით ნათელი სოციალისტური შეგნება და სიმტკიცე სოციალისტურ შეხედულებათა და ხასიათისა.

ნამდვილად კი, მხოლოდ მას შემდეგ, რაც პროლეტარიატის ავანგარდი, მთელი ამ ერთად-ერთ რევოლიუციონური კლასის, ან და მისი უმრავლესობის დახმარებით—ჩამოაგდებს ექსპლოატატორებს, დაახშობს მათ, გაანთავისუფლებს გაყვლეფილებს მათ მონურ მდგომარეობიდან, დაუყოვნებლივ გააუმჯობესებს მათი ცხოვრების პირობებს, ქონება ჩამორთმეულ კაპიტალისტების ხარჯზე, აი მხოლოდ ამის შემდეგ—და თვით მწვავე კლასობრივი ბრძოლის მსვლელობაში შესაძლებელია განხორციელებულ იქნეს მშრომელთა და გაყვლეფილთა ფართო მასსების განათლება, აღზრდა, მათი ორგანიზაციულად შეკავშირება პროლეტარიატის გარშემო, ამ უკანასკნელის გავლენის და ხელმძღვანელობის ქვეშ, მათი განთავისუფლება ეგოიზმისაგან, შეუკავშირებლობისაგან, ცუდი ზნე-ჩვეულებებისაგან, სისუტისგან, რომლებიც ყველა შედეგია კერძო საკუთრების, და ბოლოს მათი გაერთიანება თავისუფალ მშრომელთა თავისუფალ კავშირში.

4. კაპიტალიზმზე სასურველ გამარჯვების მისაღწევათ საჭიროა დამყარებულ იქნეს სწორი განწყობილება კომუნისტური პარტიის, რევოლიუციონური კლასის—პროლეტარიატის, როგორც ბელადისა, და მასსის, ე. ი. საერთოთ ყველა მშრომელთა და გაყვლეფილთა შორის. მხოლოდ კომუნისტურ პარტიას, თუ კი ის ნამდვილათ წარმოადგენს რევოლიუციონური კლასის ავანგარდს, თუ კი ის აერთიანებს თავის ფარგლებში ამ კლასის ყველა საუკეთესო წარმომადგენლებს, თუ კი მისი წევრები არიან სავსებით შეგნებული და თავდადებული კომუნისტები, დაუდგრომელ რევოლიუციონურ ბრძოლის გამოცდილებით განათლებულნი და გაკაჟებულნი, თუ კი ეს პარტია მჭიდროთ შესისხორცებია თავის კლასს და მის საშვალებით, გაყვლეფილთა მთელ მასას, და შთაუნერგია ამ კლასისთვის და ამ მასისთვის თავისადმი სრული ნდობა,—აი მხოლოდ ასეთს პარტიას შეუძლია უხელმძღვანელოს პროლეტარიატს, დაუზოგავ, გადამწყვეტ და უკანასკნელ ბრძოლაში, კაპიტალიზმის ყველა ძალების წინააღმდეგ. მეორე მხრივ, მხოლოდ ასეთ პარტიის ხელმძღვანელობით შეუძლია პროლეტარიატს გაშალოს მთელი თავისი რევოლიუციონური შეტევის ძლევა-მოსილება, არარათ აქციოს აუცილებელი აპატია და, ნაწილობრივ, წინააღმდეგობაც, კაპიტალიზმის მიერ გარყვნილ მუშათა არისტოკრატიის, ძველ ტრედ-უნიონისტების; კოოპერატივების მეთაურების და სხვათა უმნიშვნელო უმცირესობის მხრივ,—შეუძლია გაშალოს მთელი თავისი ძლიერება, რომელიც გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე მისი წილი მცხოვრებთა საერთო რიცხვში, კაპიტალისტური საზოგადოების ეკონომიური წყობილების ძალით. დაბოლოს, მასსას ე. ი. საერთოთ მთელ მშრომელებს და გაყვლეფილებს, მაშინ შეუძლია გაშალოს—და ეს იქნება ისტორიაში პირველი მაგალითი—კაპიტალიზმის მიერ დახშობილ ათეულ მილიონ ადამიანების მთელი ინიციატივა და მთელი ენერგია,—მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ფაქტიურათ უკვე განთავისუფლდება ბურჟუაზიის უღლისაგან და ბურჟუაზიული სახელმწიფოებრივი აპარატისაგან, როდესაც მას, სინამდვილეში, შეეძლება თავისუფლად (ექსპლოატატორებისაგან) შეკავშირდეს თავის საბჭოებში.

მხოლოდ მაშინ, როდესაც საბჭოებში შეიქმნებიან ერთად ერთ სახელმწიფოებრივ აპარატად, განხორციელდება ის, რომ მართველობაში ნამდვილი მონაწილეობას მიიღებს გაყვლეფილთა მთელი მასსა, რომელიც ყველაზედ უფრო განათლებულ და თავისუფალ ბურჟუაზიულ-დემოკრატიაში, ფაქტიურად, თავისი შემადგენლობის 99 პროცენტში, სრულიად მოწყვეტილი იყო მართვა გამგეობას.

მხოლოდ საბჭოებში იწყებს გაყვლეფილთა მასსა ნამდვილ შესწავლას, არა წიგნაკებიდან, არამედ საკუთარ პრაქტიკულ გამოცდილებით, სოციალისტური აღმშენებლობის საქმის და ახალი საზოგადოებრივი დისციპლინის დამყარებას, თავისუფალ მუშაკთა თავისუფალ კავშირში.

(შემდეგი იქნება)